პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1979 წელი
სამშაბათი
23 იანვარი
№ 19 (17364)
ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

მილიონთა ინტერნაციონალური მოძრაობა

„მომავალ სოციალისტურ ქვეყნებს ახალი საზოგადოების მშენებლობის უდიდესი გამოცდილება აქვთ. იგი შეძენილია კომუნისტური და მუშათა პარტიების შემოქმედებითი ძიების, ყოველმხრივი თანამშრომლობის შედეგად. ამ გამოცდილების ფასდაუდებელი საგანძური დღენიადაგ მდიდრდება იმ მჭიდრო კავშირურთიერთობის მეოხებით, რომელიც აერთიანებს ახალი სამყაროს მშრომელებს, მათს საწარმოო და სამეცნიერო კოლექტივებს, დამმობილებულ ოლქებს.

„დღეს ეს სოციალისტურ სახელმწიფოთა ერთსულოვანი თანასწორუფლებიანი ოჯახის რეალური პრაქტიკა გახდა, — თქვა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა. — მომძმე ქვეყნების თანამშრომლობის განვითარებისათვის ყოვლისმომცველ მუშაობაში ჩაბმული არიან არა მარტო ცენტრალური ხელმძღვანელი ორგანოები, არამედ ჩვენი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზმის პრაქტიკულად ყველა რგოლი, აგრეთვე საზოგადოებრივ ორგანიზაციათა უფართოესი ქსელი...

თუ ჩავუფიქრდებით, ამხანაგებო, მაშინ აქ საერთოდ საქმე გვაქვს თვისებრივად ახალ მოვლენასთან — ერთიანი მიზნით შთაგონებული ახალი სამყაროს მილიონობით მშენებლის ინტერნაციონალურ მოძრაობასთან“.

ამ შესანიშნავი მოვლენის ნათელი გამოხატულება გახდა ინტერნაციონალური შრომითი თაოსნობანი, რომელთა მიზანია კოოპერაციულ მიწოდებათა დარგში მეგობართა შეკვეთების სანიმუშო შესრულება. ისინი მოწმობს, რომ ჩვენი თანამეგობრობის ქვეყნების მშრომელები ღრმად არიან დაინტერესებული მუდმივი ურთიერთმოქმედებით საერთო დიდი მიზნის — კომუნისტური იდეალების გამარჯვებისათვის.

მორალურად და ორგანიზაციულად ეს თაოსნობანი მომზადებულია სოციალიზმის სხვადასხვა მშენებლობაზე შრომითი თანამშრომლობის ყოველდღიური პრაქტიკით. ათასობით საბჭოთა ადამიანი მუშაობს მომძმე ქვეყნებში და ეხმარება მეგობრებს სახალხო მეურნეობის განვითარების უმნიშვნელოვანეს უბნებზე. თავის მხრივ ამ ქვეყნების მუშათა და სპეციალისტთა დიდი რაზმები შრომობენ მრავალეროვან კოლექტივებში საბჭოთა მიწა-წყალზე და აშენებენ დიდ ერთობლივ ობიექტებს. მეგობრობის მშენებლობანი, რომლებიც ახლა რამდენიმე ათეულია, კლასობრივი სოლიდარობის, ინტერნაციონალისტთა მაღალი თვისებების ჩანერგვის მასობრივი სკოლა გახდა.

წელს სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნები აღნიშნავენ ღირსშესანიშნავ იუბილეს — ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს აღმასკომის 88-ე სხდომაზე საბჭოს წევრი ქვეყნების წარმომადგენელთა მაღალი შეფასება დაიმსახურა. ამ სხდომაზე ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი ვოლგის საავტომობილო ქარხნის გაერთიანების კოლექტივის ინიციატივას, რომელმაც 1979 წლის სოციალისტურ ვალდებულებათა განუყოფელ შემადგენელ ნაწილად განაზღვრა ზრუნვა მომძმე სახელმწიფოთა საექსპორტო შეკვეთების დროული და უნაკლო შესრულებისათვის, მათს საწარმოებთან კავშირის განვითარებისა და გაღრმავებისათვის. ეს მოძრაობა დღითიდღე ძლიერდება. ბევრი სოციალისტური სახელმწიფოს ასობით საწარმოს კოლექტივებს ინტეგრაციულ ვალდებულებათა ზუსტი შესრულება თავიანთ მაღალ ინტერნაციონალურ მოვალეობად მიაჩნიათ.

ახალი თაოსნობა განაგრძობს იმ შეჯიბრების შესანიშნავ ესტაფეტას, რომელიც დაიწყო უნგრეთის „წითელი ჩიპელის“, სხვა მომძმე ქვეყნების მოწინავე საწარმოთა მშრომელების მაგალითისამებრ დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის წელს. საგულისხმოა, რომ საწარმოო კოლექტივები დამკვრელურ ვახტზე დგანან ერთიანი დროშით, ერთი თარიღის აღსანიშნავად, რომელსაც მთელი თანამეგობრობა ღღესასწაულობს. და, ბუნებრივია, რომ შეჯიბრება ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს 30-ე წლისთავის ღირსეული შეხვედრისთვის, რომელიც მიმდინარეობს დევიზით — „მეგობართა შეკვეთები — დროზე. და მაღალხარისხოვნად“! — მათში ენერგიის ახალ მოზღვავებას, იმ მიზწრაფებას იწვევს, რომ მაქსიმალურად გამოიყენონ შრომითი ურთიერთმოქმედების შესაძლებლობანი, კიდევ უფრო ეფექტიანად გაუზიარონ ერთმანეთს გამოცდილება, დაუცხრომლად განამტკიცონ ჩვენი ხალხების ერთიანობა და შეკავშირება.

სოციალისტური სამყაროს მატიანეში არცთუ ცოტაა საყურადღებო გამოცდილების ნაყოფიერი გავრცელების მაგალითი. მომძმე ქვეყნების მშენებლები, განსაკუთრებით გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ფართოდ იყენებენ საბჭოთა ბრიგადირის ნიკოლოზ ზლობინის მიღწევებს. ბულგარელი მეგობრები წარმატებით იყენებენ ოდესელ ნავსადგურის მუშაკთა, რკინიგზელთა და ავტომობილისტთა კომპლექსური შეჯიბრების გამოცდილებას, ხოლო ილიჩოველებმა ვარნელ მშრომელთა მაგალითისამებრ მოაგვარეს გემების უსამჭრო რემონტი. პარტნიორების მტკიცე, ხელსაყრელი ურთიერთობა დიდი ხანია აკავშირებთ მოსკოვისა და ბერლინის მეკაბელებს, ლენინგრადისა და დრეზდენის მანქანათმშენებლებს, ვოლგოგრადისა და ოსტრავის მეტალურგებს, როსტოვის ოლქისა და ბულგარეთის პლევენის ოლქის მინდვრის ოსტატებს. ეს მჭიდრო კავშირურთიერთობა, შრომითი კოლექტივების ყოველდღიური კონტაქტები თავისი მნიშვნელობით სცილდება წმინდა საწარმოო ამოცანების ფარგლებს და მშრომელებს უვითარებს მეგობართა საზრუნავისადმი პირადი დამოკიდებულების გრძნობას, ზრდის მათ ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით.

ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს იუბილეს ღირსეული შეხვედრისათვის შეჯიბრების დევიზი ახასიათებს მისწრაფებას უზრუნველყონ სწრაფი ტემპიც და კოოპერაციულ მიწოდებათა ჩინებული ხარისხიც. წლითიწლობით იზრდება თანამეგობრობის ქვეყნების ეროვნული ეკონომიკების ურთიერთშეღწევა, მათი კომპლექსური მეგმიანი თანამშრომლობა. გასაგებია, რომ მომძმე სახელმწიფოების კომუნისტები, ყველა მშრომელი შეკვეთების ვადაზე და „ფრიადზე“ შესრულებას დიდ პოლიტიკურ ამოცანად მიიჩნევენ.

საბჭოთა ადამიანების ღირსების საქმეა სოციალისტურ ქვეყნებს მიაწოდონ მხოლოდ უმაღლესი კლასის პროდუქცია. „ჩვენ მიგვაჩნია, — აღინიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში პარტიის XXV ყრილობისადმი, — რომ მომძმე ქვეყნების მიერ კოლექტიურად დასახული ღონისძიებების, მათ წინაშე ნაკისრი ჩვენი ვალდებულებების ზუსტი შესრულება სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, სამინისტროების, უწყებების, გაერთიანებებისა და საწარმოების, ყველა იმათი წმიდათაწმიდა მოვალეობაა, ვინც მუშაობის ამ უბანთან არის დაკავშირებული“. ასრულებენ რა პარტიული ყრილობის მითითებებს, ჩვენი სამშობლოს მშრომელები არ იშურებენ ძალ-ღონეს, რათა ყველაფერს, რასაც აქვს მარკა „დამზადებულია სსრ კავშირში“, მომძმე სახელმწიფოები დროულად და ჩინებულად შესრულებულს იღებდნენ.

ახალი სამყაროს მშენებელი ხალხების დაახლოება და [illegible]ნება დროის მოთხოვნაა. ვოლგელთა ინიციატივით დაწყებული ინტერნაციონალური შეჯიბრების დევიზი, უეჭველია, კიდევ უფრო ფართო ყურადღებას შეიძენს. ამ მოძრაობის მასობრიობასა და დინამიზმს განაპირობებს ის, რომ მას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს მსოფლიო სოციალიზმის ახალი წარმატებებისათვის.

ა. ა. გრომიკო იტალიას გაემგზავრა

22 იანვარს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო იტალიის მთავრობის მიწვევით რომში გაემგზავრა ოფიციალურ ვიზიტად.

აეროდრომზე იგი გაატეხეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა ა. ი. პელშემ, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეებმა, სხვა ოფიციალურმა პირებმა.

იმავე დღეს ა. ა. გრომიკო რომში ჩავიდა.

აეროდრომზე მას დახვდნენ იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ფორლანი, სხვა ოფიციალური პირნი. (საკდესი).

შეჯიბრების მეთაფეები

მუშათა კლასის ეს ორი წარმომადგენელი გ. გამჯაშვილი (მარცხნიდან) და შ. თურქიშვილი თბილისის XXXVII საქალაქო პარტიული კონფერენციის დელეგატები იყვნენ.

მრავალი წლის განმავლობაში ფარნაოზ თურქიშვილი ბრიგადირად მუშაობდა ლილოს რკინა-ბეტონის კონსტრუქციების ქარხანაში. კოლექტივი, რომელსაც იგი ხელმძღვანელობდა, ყოველთვის საწარმოს შრომითი საქმეების ავანგარდში იყო. მრავალი წლის შრომითი წარმატებებისათვის შ. თურქიშვილს მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის სპეციალური წოდება. ეი უკვე ერთი წელია, რაც იგი მეორე საამქროს კოლექტივს ხელმძღვანელობს. აქაც გამოვლინდა ყოფილი ბრიგადირის ყველა კარგი თვისება. საამქროს კოლექტივმა ვადამდე შეასრულა ხუთწლედის მესამე წლის გეგმა. წარმატებით დაიწყო ახალი, მეოთხე წელი — ვადამდე შესრულდა იანვრის გეგმა.

გიორგი გამჯაშვილი კი უკვე ოცი წელია ხარატად მუშაობს საქართველოს სახოფლო-სამეურნეო მანქანათსაშენებელ ქარხანაში. მოწინავე წარმოების მუშამ თბილისის XXXVII საქალაქო პარტიული კონფერენციის გახსნის დღისათვის შეასრულა პირადი საწარმოო ხუთწლიანი გეგმა. სწორედ მას, უმაღლესი თანრიგის სპეციალისტს, ანდობენ ქარხანაში ურთულესი დეტალების დამუშავებას. საამქროში, სადაც გიორგი მუშაობს, იციან, რომ მისი ნახელავი ყოველთვის საუცხოო ხარისხისა იქნება.

ამჟამად ქარხანაში ითვისებენ ახალ კარტოფილსატვირთ ტრანსპორტიორს. ამ აგრეგატის შექმნაში გ. გამჯაშვილის დიდი შრომაც არის ჩაქსოვილი.

ვლ. ბინზბურგის ტექსტი და ფოტო.

1979 4 თებერვალი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღეს!

ხალხის კანდიდატები

საოლქო წინასაარჩევნო თათბირებზე

საქართველოში მთავრდება სსრ კავშირის მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა დასახელება. ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში მშრომელებმა თავიანთ წარმომადგენლებად დაასახელეს მოწინავე მუშები, კოლმეურნეები, შემოქმედებითი ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები.

გაიმართა წინასაარჩევნო კრება ბათუმის ნავთობგადამამუშავებელ ქარხანაში. მისმა მონაწილეებმა ერთხმად დაადგინეს, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად №495 ბათუმის ზღვისპირა საარჩევნო ოლქში დასახელონ ნუგზარ მემედის ძე გოგაძე.

სოფელ ზემო გულრიფშის მიმანიკოვის სახელობის კოლმეურნეობის მოწინავე მეთამბაქოე **აიგუშ გურგენის ახული იანუკიანი** კოლმეურნეობაში გამართულ წინასაარჩევნო კრებაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელეს № 488 გულრიფშის საარჩევნო ოლქში. (საქინფორმი).

დიდი ნდობა

რესპუბლიკაში, ისევე როგორც მთელ ჩვენს ქვეყანაში, გრძელდება სახოლქო წინასაარჩევნო თათბირები, რომლებზეც საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და შრომითი კოლექტივების წარმომადგენლები ყოველმხრივ იხილავენ კრებებზე დასახელებულ სსრ კავშირის მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებს.

გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების № 482 სოხუმის საქალაქო საარჩევნო ოლქის წინასაარჩევნო თათბირი. მისმა მონაწილეებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი სოხუმის ტყავის ფეხსაცმლის საწარმოო გაერთიანების მკერავს **მარგო ხუტას ახულ კვარჩიას**, რომელიც ქვეყნის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს დეპუტატობის კანდიდატად არის დასახელებული, და სთხოვეს მას კენჭი იყაროს ამ საარჩევნო ოლქში.

წინასაარჩევნო თათბირზე, რომელიც № 493 ბათუმის შაუმიანის საარჩევნო ოლქში გაიმართა, ერთსულოვნად გადაწყვიტეს მხარი დაუჭირონ სსრ კავშირის ავიაციის მრეწველობის სამინისტროს გენერალური კონსტრუქტორის **როსტისლავ აპოლონის ძე ბელიაკოვის** კანდიდატურას და სთხოვეს მას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატად კენჭი იყაროს ამ ოლქში.

ქედის რაიონის სოფელ დანდალოს კოლმეურნეობის მეთამბაქოის **ნატალია მიხეილის ასულ ბალაძის** კანდიდატურა მოიწონა წინასაარჩევნო თათბირმა, რომელიც №497 ქედის საარჩევნო ოლქში გაიმართა. თათბირის მონაწილეებმა სთხოვეს, მას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატად კენჭი იყაროს ამ ოლქში. №168 ახალქალაქის საარჩევნო ოლქში გამართული წინასაარჩევნო თათბირის მონაწილეებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი ახალქალაქის რაიონის სოფელ ბარალეთის კოლმეურნეობის მწველავს **რუზან გურგენის ასულ ხეჩოიანს**, რომელიც დასახელებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად, და სთხოვეს კენჭი იყაროს ამ საარჩევნო ოლქში.

გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების №737 ცხინვალის სასოფლო საარჩევნო ოლქის წინასაარჩევნო თათბირი. თათბირმა ერთსულოვნად მოიწონა, რომ სახალხო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელებულია საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი **ფილიქს ხერგის ძე სანაკოევი**, და სთხოვა მას კენჭი იყაროს

სსრ კავშირის კოსმონავტიკის ფედერაცია

საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა შექმნეს სსრ კავშირის კოსმონავტიკის ფედერაცია. იგი აერთიანებს მეცნიერებს, კონსტრუქტორებს, გამომგონებლებს, კოსმონავტებს, სარაკეტო-კოსმოსური ტექნიკის ვეტერანებს, იმ მწერლებსა და ჟურნალისტებს, რომლებიც კოსმოსის თემაზე წერენ. ფედერაციის დანიშნულებაა ხელი შეუწყოს მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს, მშვიდობიანი მიზნებისათვის კოსმოსური სივრცის უშუალო შესწავლასა და ათვისებას.

ფედერაცია მუშაობს საზოგადოებრივ საწყისებზე და მასობრივ, პროპაგანდისტულ და პრაქტიკულ საქმიანობას ეწევა დოსაფის რესპუბლიკური სამხარეო და საოლქო ორგანიზაციების მეშვეობით.

სსრ კავშირის კოსმონავტიკის ფედერაციის საორგანიზაციო პლენუმზე შეიქმნა ბიურო, რომლის თავმჯდომარედ არჩეულია ორგზის საბჭოთა კავშირის გმირი, სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავი, ავიაციის გენერალ-მაიორი ა. ვ. ფილიპჩენკო. (საკდესი).

ბუნების დიადი სამშობლოში..

საბჭოთის ერთგული [illegible]

□ **ბორჯომი.** [illegible] **სახელობის ფაბრიკაში დაიწყო მაღალი ხარისხის სასტამბო ქაღალდის გამოშვება,** რომელზეც დაიბეჭდება სასკოლო სახელმძღვანელოები და ამით გახანგრძლივდება მათი ხმარება. ასეთი ქაღალდი დამზადდება სპეციალურ ნაკადურ ხაზებზე, რომლებიც საწარმოს რეკონსტრუქციის შედეგად ამოქმედდა.

□ **სარატოვი. მაღალი მოკნები დაისახეს ხუთწლედის მეოთხე წლისათვის სარატოვის ოლქის მშრომელებმა.** წარმოების ეფექტიანობის შემდგომი ამაღლების, მეცნიერულ - ტექნიკური პროგრესის დაჩქარების საფუძველზე დასახულია 15 პროცენტით გადაჭარბონ შრომის ნაყოფიერების ზრდის წლიურ დავალებას. დაგეგმილია, რომ ამ გზით 90 პროცენტით გადიდდეს სამრეწველო პროდუქციის მოცულობა. სოფლის მეურნეობის დარგში მიწათმოქმედებმა და მეცხოველეებმა გადაწყვიტეს გაუმჯობესონ პროდუქციის ხარისხი, 5,9 პროცენტით გაადიდონ მისი საერთო წარმოება. ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებები ითვალისწინებს, რომ ოლქში აშენდეს და საექსპლოატაციოდ გადაეცეს სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 38 ობიექტი.

□ **მეწამორი. (სომხეთის სსრ).** ატომური ელექტროსადგურის მშენებლთა ქალაქში — მეწამორში ლექცია-კონცერტით „ერთიან ოჯახში“ გაიხსნა კულტურის სახლო უნივერსიტეტი. სომხეთის მსახიობთა წამყვანი კოლექტივების შესრულებით ეძღვნება სსრ კავშირის ხალხთა სიმღერები, საბჭოთა კომპოზიტორების ნაწარმოებები. კონცერტში მონაწილეობას იღებენ აგრეთვე თვითმოქმედი შემსრულებლები — მეგობრობის ამ ქალაქში მცხოვრები თითქმის 30 ეროვნების წარმომადგენლები.

□ **რიგა.** ლატვიის ნებისმიერი სოფლის მცხოვრებთ სულ რამდენიმე წუთი დასჭირდებათ, რომ ახალი წელი მიულოცონ თავიანთ მეგობრებს ყველაზე დაშორებულ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. რესპუბლიკაში დამთავრდა სასოფლო-სატელეფონო სადგურების ავტომატიზაცია. შემჭიდროებული კავშირგაბმულობის აპარატურამ, რომელიც ლატვიელმა სპეციალისტებმა შეიმუშავეს, სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის მედლები დაიმსახურა. მიმდინარე ხუთწლედის დამლევისათვის დასაბუდ სატელეფონო ქსელის ამუშავების შემდეგ ტელეფონებით უზრუნველყოფენ ყველა ბინას კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ახალდასახლებულ უბნებში. (საკდესი).

9.000 მეტრი დედამიწის სიღრმეში

მურმანსკი, 20 იანვარი. (საკდესის კორ. ვ. ბელოუსოვი). დღეს კოლის ზეღრმა ბურღვის გეოლოგიურ - სადაზვერვო ექსპედიციის კოლექტივმა იუბილეო წარმატება მოიპოვა. ჩვენს ქვეყანაში პირველად არის მიღწეული 9.000 მეტრი სიღრმე. ამ თვალსაჩინო წარმატებას საბჭოთა გეოლოგებმა ჩვენი ქვეყნის სპეციალისტთა მიერ შემუშავებული პროექტით დამზადებული საბურღი მოწყობილობის საშუალებით მიაღწიეს.

საბჭოთა მეცნიერები ამ ახალი ამბის განმარტებისას ხაზგასმით აღნიშნავენ ამ ფაქტს, რომ რეკორდული სიღრმე მიღწეულია დედამიწის ქერქის უძველეს და ძალზე მაგარ კრისტალურ ქანებში, რომელთა გაბურღვა განსაკუთრებით ძნელი იყო.

ეროვნული ეკონომიკის [illegible]

დამკვრელური შრომით

რიტმული შრომით დაიწყეს ხუთწლედის მეოთხე წელი უნგუარჰესის მიწისქვეშა ჰიდროელექტროსადგურის მშენებლებმა. მოქმედი სამი ჰიდროაგრეგატის გვერდით წარმატებით მიმდინარეობს მეოთხე და მეხუთე აგრეგატების წინასამონტაჟო სამუშაოები.

მემონტაჟეებმა ვადამდე დაიწყეს მეოთხე აგრეგატის წყალსადენი გვირაბის ლითონის ფურცლებით მოსახვა, პარალელურად მიმდინარეობს მეხუთე აგრეგატის საფუძვლის საარმატურე სამუშაოები.

განსაკუთრებით კარგ მაჩვენებლებს აღწევენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის შ. აბაკელიას და ა. პალის კომპლექსური ბრიგადები.

ბ. ალშიბაია.

პირველოგას არ თმოგენ

საუკეთესო შედეგს მიაღწია „საქშახტმშენის“ ტრესტის „მარნეულმშენის“ სამმართველოს კოლექტივმა (უფროსი — მ. ყანჩელი). ხუთწლედის დამდეგიდან დღემდე მარნეულელებმა ორჯერ მეტი სახსრები აითვისეს, ვიდრე ეს გეგმით სამშენებლო სამუშაოებისათვის იყო გათვალისწინებული. მათ მიერ მწყობრში ჩაყენებულ ყველა სამრეწველო და კულტურულ საყოფაცხოვრებო ობიექტს სახელმწიფო კომისიამ მხოლოდ „კარგი“ და „ფრიადი“ შეფასება მისცა.

მარნეულის სამმართველოს კოლექტივი საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროში შემავალ საწარმოთა შორის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში პირველობას კარგა ხანია არ თმობს.

წარმატებას ხელს უწყობს ცნობილი მოსკოველი მშენებლის ნ. ზლობინის გამოცდილების ფართოდ დანერგვა. ბრიგადული იჯარით მომუშავე ჯომპლექსური ქვეგანაყოფები გ. ტოკლიკიშვილის, რ. ავკოპაშვილის და დ. დაშტამოროვის მეთაურობით სამმართველოს სამუშაოთა მოცულობის 25 პროცენტს ასრულებენ.

შ. ამაშუკელი,
„კომუნისტის“ კორ.

რეზერვები მოქმედებს

მახარაძე. („კომუნისტის“ კორ.). საგაზაფხულო სამუშაობისათვის კარგად ემზადებიან მახარაძის რაიონის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები. პარტიის რაიონული კომიტეტი აქედან ავორციელებს საჭირო ღონისძიებებს იმისათვის, რომ მოგვარდეს ყველა დარგისა და წარმოების უფრო ზუსტი ურთიერთობა, რაც უზრუნველყოფს საზოგადოებრივ მეურნეობებს ტექნიკითა და მძსი სათადარიგო ნაწილებით, თესლით.

სწორედ ამის შედეგად რაიონში სწრაფი ტემპით მიმდინარეობს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის რემონტი. შესაკეთებელი 566 ტრაქტორიდან უკვე მზად არის 400 ტრაქტორი, 56 სათესი მანქანიდან — 47.

მთავრდება ჩაის საკრეფი მანქანების რემონტი. დავალებით უნდა შეკეთდეს 123 მანქანა, აქედან უკვე საშუშაოდ მზად არის 111 ჩაის საკრეფი მანქანა.

ინტერნაციონალური მეგობრობის ფესვები

საკარდო და სამაისო

ბევრი რამ ახლოვთ მის ძუძეებს

ქუთაისში 180-მდე ქუჩაა, თითოეული მათგანი, ქალაქის ავტობიოგრაფიაა. მის სტრიქონებს საუკუნეების მანძილზე წერდნენ სახელოვანი პატრიოტი ქართველი მამულიშვილები, მომავლების ნამომადგენელნი და უცხოეთიდან ჩამოსულნი, რომელთა ფასდაუდებელი ღვაწლი როდი დაივიწყეს ქუთაისელებმა... ქართველებთან ერთად, რომელი ერის შვილს სახელს ამატებენ დღეს ქუთაისის ქუჩები და მოედნები.

რუსთაველის პროსპექტი, ქალაქის მთავარი არტერია, ულამაზეს ხეივანს წარმოადგენს. აქ არის სახელგანთქმული ბულვარი, რომელიც რევოლუციური საუკუნის დასაწყისში საზოგადოებრივი აზრის ტრიბუნა იყო. რუსეთის პირველი რევოლუციის წინ, 1903 წლის პირველ მაისს, ამიერკავკასიის პროლეტარიატის საყოველთაო გაფიცვისადმი სოლიდარობის ნიშნად, ქუთაისის ბულვარში პოლიტიკური დემონსტრაცია გაიმართა, რომელშაც შიშის ზარი დასცა მთელი ბუბერნის ბანაბოვნებენი კოსტების წარმომადგენლებს, ცარიზმის დამქაშებს.

ქუთაისის ამ ძველ ქუჩას ახსოვს 1905 წლის 14 თებერვალს მთავრობის საწინააღმდეგო დემონსტრაცია, პოლიციის თავდასხმა და უდანაშაულო ადამიანთა სისხლისღვრა, ახსოვს 19-20 ოქტომბრის ბულვარში მოწყობილი გრანდიოზული მიტინგი. ქუთაითელებმა მაშინ ამხილეს მეფის 17 ოქტომბრის მანიფესტის ნამდვილი არსი და ხალხს შეიარაღებული აჯანყებისაკენ მოუწოდეს.

ქუთაისის ბულვარი წარმოუდგენელია სულმნათი აკაკის გარეშე, რომელსაც აქ ესმოდა „ხმა ბორკილთა მსხვრეულისა“...

ქუთაისის ქუჩებს ახსოვთ ბორიკადებზე მდგომი სახელოვანი ლადო მესხიშვილი და ჰაბეკი მაიაკოვსკის ნიჭის აფეთქება. ახსოვთ ბეჭებში ოდნავ მოხრილი, ტანმაღალი კაცის მაქსიმ გორკის სტუმრობა, უკრაინელი ხალხის საამაყო შვილი ლესია უკრაინკა, გალაკტიონ ტაბიძისა და ლადო ასათიანის ქალაქი. ამ ქალაქში ჩამოსულნი, რომელთა ფასდაუდებელი ღვაწლი ჩაქსოვილია ამ ქალაქის ისტორიაში, ბევრ ბინას ეძებდნენ, ბევრ ოთახს ეძებდნენ

პარტიული ცხოვრება

გამოცდილებაც დასწავლაც

ყოველ ანგარიშგება - არჩევნებს სიახლე შეაქვს პარტიული ორგანიზაციების ცხოვრებაში, პირველ ყოვლისა ხდება პარტიული აქტივის გადახალისება, ხელმძღვანელობაში მოდიან ახალი ადამიანები, რომელთაც თან მოაქვთ ენთუზიაზმი და უკეთ მუშაობის სურვილი. ეს ის ბირთვია, რომელთა ავტორიტეტსა და უნარზე, მონდომებასა და ცოდნაზე დიდად არის დამოკიდებული პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის დონე. ორგანიზაციების ქმედითუნარიანობის ამაღლება. სწორედ მათ უნდა შექმნან კომუნისტთა ისეთი მებრძოლი კოლექტივები, რომლებიც შეძლებენ მასებისათვის პარტიის პოლიტიკის სწორად გაცნობას, ცხოვრების მიერ მოწოდებული სიახლეების დანერგვასა და საჭირბოროტო საკითხების დროულ და კომპეტენტურ გადაწყვეტას.

მუშაობის პირველმა შედეგებმა ცხადყო, რომ ანლაც ძირითადად უნარიანი, საქმის მოყვარული ადამიანები ჩაუდგნენ სათავეში პარტიულ ორგანიზაციებს, ამასთან ისიც გვიჩვენა, რომ ზოგიერთ მათგანს არა აქვს მუშაობის სათანადო გამოცდილება, კოლექტიური ორგანოს გაძღოლის ჩვევები.

ბუნებრივია, ეს დღის წესრიგში აყენებს არჩევითი აქტივის სწავლებისა და აღზრდის აუცილებლობას, რათა მათ პრაქტიკულად განახორციელონ XXIII ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის მოთხოვნა: „ახლა, ხუთწლედის მეოთხე წლის წინ, — განაცხადა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა პლენუმზე, — თითოეულმა პარტიულმა ორგანიზაციამ, ყოველმა პარტიულმა კომიტეტმა დეტალურად უნდა გაარჩიოს ვითარება და გადაწყვეტოს, რა გამოცდილებით შეიარაღდეს, მუშაობს რა და რა ფორმები მოძველდა და აღარ არის ეფექტიანი, როგორ აიცილოს თავიდან ნაკლოვანებანი, რომლებიც აბრკოლებს წარმატებულ წინსვლას“.

პარტიის რაიკომი და არჩევითი პარტიული აქტივის აღზრდა

ამიტომ ახლა ჩვენს მუშაობაში ერთ-ერთ გადაუდებელ ამოცანად სწორედ ეს მიგვიჩნია, ვცდილობთ შევქმნათ პარტიული სწავლების ისეთი მწყობრი სისტემა, იგი ისეთი ფორმებით გავამდიდროთ, რომ მოხდეს პარტიული მუშაობა. გამოცდილების მქონე ძველ კადრებთან ახალმოსული აქტივის მუშაობის შერწყმა-შეხამება.

არ შეიძლება ითქვას, რომ რაიკომი აქცევს სწავლების ყველა საჭირო ფორმასა და მეთოდს უკვე ფლობს და მუშაობაში იყენებს, ამასთან ჯერჯერობით მოკლებული ვართ ორგტექნიკას, ინფორმაციის მიწოდების ტექნიკურ საშუალებებს. რა თქმა უნდა, მომავლისათვის ამასაც ვიზრუნებთ, მაგრამ ახლა ვცდილობთ იმის მაქსიმალურად გამოყენებას, რის შეესაძლებლობაც ხელთა გვაქვს. პარტიული აქტივის სწავლებისათვის ძირითადად ვიყენებთ რაიკომთან არსებულ პარტიულ სკოლას, რომელიც მეორე წელია, რაც მოქმედებს. სკოლის ბოლო ორ მეცადინეობაზე და ზონალურ საინტერესაო თათბირებზე რაიკომის პასუხისმგებელი მუშაკები მსმენელს ესაუბრნენ პარტიული ხელმძღვანელობის ფორმებსა და მეთოდებზე, სოციალისტური შეჯიბრებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გაუმჯობესებისა საკითხებზე, კრებისა და ბიუროს სხდომების მომზადებისა-ჩატარების პრაქტიკაზე, კომუნისტების აქტიანი წინადადებებისა და შენიშვნების რეაგირების მეთოდებზე, იმაზე, თუ როგორ მოაწყონ მიღებული დადგენილების შესრულების შემოწმება და სხვ. სწავლებაში ერთფეროვნება რომ აეცილოთ, ხშირად ვიყენებთ სემინარულ მეცადინეობებს, თეორიულ კონფერენციებს, ამასთან არჩევითი აქტივი ჩაბმულია ეკონომიკური და პოლიტიკური განათლების ქსელის სხვადასხვა რგოლში.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საჭიროებაა იდეოლოგიურ საკითხებში პარტიული ორგანიზაციების მდივნების მოადგილეების სწავლება, რადგან პარტიული აქტივის ამ წარმომადგენლების აქტიურ და საზრიან მუშაობაზე ბევრად არის დამოკიდებული შრომითს კოლექტივებში კომუნისტებისა და უპარტიოთა აღზრდის წარმატება. სწორედ ამ მიზნით პარტიულ ორგანიზაციებში ანგარიშგება-არჩევნების დამთავრებისთანავე მათთვის შეექმნით მეფიმიმეშქედი სკოლა, რომლის პირველი მეცადინეობა ამ ერთი თვის წინათ, დეკემბერში გაიმართა. ამ დღეებში მეორე მეცადინეობის ჩატარებაა გათვალისწინებული. მაგრამ გულახდილად უნდა ვაღიაროთ, რომ ჯერჯერობით ძალიან ცოტა რამ გვაქვს გაკეთებული ბელორუსიის პარტიული ორგანიზაციის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესასრულებლად. როგორც მოგეხსენებათ, ამ დადგენილებით დასახულია ამოცანა — მკვეთრად გაუმჯობესდეს პროპაგანდის, აგიტაციისა და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის ორგანიზაციის საკითხებზე. პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნებისა და იდეოლოგიურ დარგში მათი მოადგილეების სწავლება და ინსტრუქტაჟი.

რაიკომი და პირველადი პარტიული ორგანიზაციები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ აგრეთვე პარტჯგუფორგების აღზრდისა და სწავლების საკითხებს. ისინი ხომ წარმოების შუაგულში უშუალოდ ადამიანების მოთხოვნებსა და ინტერესებთან ყველაზე ახლო მდგომნი არიან. ამ მიზნით ზონების მიხედვით მუზხარის, ხაბუმის, ნაფიჩხოვოს, ჭოღის, კირცხის, ლესიჭინის კოლმეურნეობებში მოვაწყვეთ სემინარები. პარტიულმა, საბჭოთა და სამეურნეო აქტივმა მსმენელებს განუმარტეს, თუ რა საკითხებს უნდა მიაქციონ ყურადღება მუშაობაში. ამასთან ადგილებზე პრაქტიკულად უჩვენეს, თუ როგორ უნდა მომზადდეს და ჩატარდეს პარტჯგუფების კრებები.

როგორც მოსალოდნელი იყო, ამ ღონისძიებებმა კეთილნაყოფიერი გავლენა იქონია პარტორგანიზაციათა საქმიანობაზე, საგრძნობლად გაიზარდა პარტიული ორგანიზაციების როლი პარტიულ-სამეურნეო ამოცანების გადაწყვეტაში. მაგალითად, უფრო კომპეტენტურად დაიწყეს მუშაობა ლესიჭინის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის, ამავე სოფლის რუსთაველის სახელობის ჩაისა და სოფელ ჭოღის ტუნგის საბჭოთა მეურნეობების პარტიულმა კომიტეტებმა, რომლებმაც საგრძნობლად აამაღლეს კომუნისტების ავანგარდული როლი და მუშაკთა პირადი პასუხისმგებლობა. ამის შედეგია, რომ ახლა ისინი უკეთ იღვწიან მუშაობის ხარისხის, შრომის დისციპლინის განმტკიცების, მუშაკთა ცხოვრების, ახალგაზრდებთან მუშაობის გაუმჯობესებისა და ბევრი სხვა საკითხის გადასაჭრელად. განსაკუთრებით ჭოღის საბჭოთა მეურნეობაში (პარტიული კომიტეტის მდივანი გ. ქარჩავა) ჩანს მიღებული შედეგები. აქ წინათ ჩამორჩენილი დარგი — მეცხოველეობა ახლა მოწინავე პოზიციებზე გავიდა, 840 კილოგრამით გაიზარდა საშუალო-წლიური წველადობა. ხაბუმის, ახუთისა და ზოგიერთი სხვა სოფლის პარტიული ორგანიზაციები ახლა უკეთ აწყობენ სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციას, ეფექტიანად იბრძვიან საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცების, მიწის კანონმდებლობის დაცვისა და სხვა აქტუალური საკითხების მოსაგვარებლად, ამასთან ზრუნავენ ძირეული რგოლების — საბრიგადო და აგროგანსოფფილებების პარტორგანიზაციათა მდივნებისა და პარტჯგუფორგების სწავლებისათვის. საამისოდ მათ არა ერთი საინტერესო ღონისძიება განხორციელეს.

აღსანიშნავია ისიც, რომ პარტიის რაიკომი აქტივის სწავლების საკითხებზე ხშირად ისმენს პარტორგანიზაციათა მდივნების ანგარიშებს და სახაკს ღონისძიებებს მუშაობის უკეთ დაყენებისათვის. მაგალითად, ამ დღეებში რაიკომის ბიუროს იმსჯელა პირველი ჭოღის და კირცხის XX პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობების პარტიულ ორგანიზაციათა მუშაობის მაგალითებზე. ასეთი ანგარიშების მოსმენა გათვალისწინებული გვაქვს რაიკომის პერსპექტიული გეგმით.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ პარტიული სკოლებისა და სემინარების მუშაობა ვერ შეცვლის ადგილებზე ადამიანებთან უშუალო კონტაქტის კეთილისმყოფელ გავლენას, პრაქტიკული დახმარების ეფექტს, ცოცხალ ინსტრუქტაჟს. ამიტომ პრაქტიკაში მუდამ ვიყენებთ აპარატის პასუხისმგებელი მუშაკების ინსტრუქტაჟებს უშუალოდ პარტიულ ორგანიზაციებში. ისინი იქ სწავლობენ და აანალიზებენ გაწეულ მუშაობას, ეხმარებიან შინაპარტიული და იდეურ-პოლიტიკური მუშაობის წარმართვაში. ასეთი უშუალო კონტაქტები ინფორმაციის გაცვლის საუკეთესო საშუალებაც არის.

როგორც ჩანს, გაწეულია ერთგვარი მუშაობა, მაგრამ იგი საკმარისი არ არის. ეს საქმის მხოლოდ დასაწყისია. კვლავ ვეძებთ პარტიული არჩევითი აქტივის სწავლებისა და აღზრდის ახალ ხერხებსა და მეთოდებს, ამ საქმეში გამოვიყენებთ მოწინავე პარტიული ორგანიზაციების მუშაობის გამოცდილებას, ვიზრუნებთ პარტიულ ორგანიზაციათა მდივნების საშემსრულებელო დისციპლინის ამაღლებისათვის, რომ ისინი ღრმად დაეუფლონ მასების ხელმძღვანელობისა და გაძღოლის ხელოვნებას.

ქ. ძაჯაია,
საქართველოს კომპარტიის ჩხოროწყუს რაიკომის პირველი მდივანი.

მდივნების დასახმარებლად

ზუგდიდი. (საკ. კორ.) ორ დღეს მიმდინარეობდა პირველადი და საამქრო პარტიული ორგანიზაციების ახალარჩეული მდივნების სემინარი, რომელიც საქართველოს კომპარტიის ზუგდიდის საქალაქო კომიტეტმა მოაწყო. სემინარზე წაიკითხეს მოხსენებები: „ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის შემდგომი სრულყოფის, პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის ამაღლების ამოცანები სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად“; „პარტიული კომიტეტი, პარტიული ხელმძღვანელობის ორგანო“; „სკკპ რიგებში მიღება და ახლგაზრდა კომუნისტებთან მუშაობა“; „იდეურ-აღმზრდელობითი საქმიანობა საცხოვრებელ ადგილებში არსრულწლოვანთა დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში“; „პარტიული ორგანიზაცია და ძირეული პრესა“ და სხვ.

ლიმონს ყინვა აღარ აშინებს..

გაგრის მეციტრუსეობის საბჭოთა მეურნეობის მშრომელებმა ერთ-ერთმა პირველებმა გამოიყენეს გაზი ლიმონის ნარგაობათა გასათბობად. ოცი წლის წინ აქ, საქართველოში პირველად, 208 ტონიანი გაზის რეზერვუარები, ხოლო პლანტაციის ოთხ ჰექტარზე კი 2000 აირის ნათურა დაიდგა. მას შემდეგ ყინვა აღარ არის საშიში სითბოსმოყვარული მცენარისათვის.

6-8 გრადუსი ყინვის დროს აქ გაზით გათბობა ტემპერატურის მკვეთრად გადიდების საშუალებას იძლევა. წელს საბჭოთა მეურნეობის მშრომელებმა ყინვის შედეგების თავიდან ასაცილებლად ყველა ზომა იხმარეს.

სურათებზე: 1. გაზის რეზერვუარები გაგრის მეციტრუსეობის საბჭოთა მეურნეობის პლანტაციებში; 2. საბჭოთა მეურნეობაში ლიმონის ხეების ყინვისაგან დაცვის პასუხისმგებლობა დაკისრებული აქვთ მთავარ აგრონომს ზურაბ შუბითიძესა და მექანიკოს-დოზატორს დავით ოტს, რომლებიც რეგულარულად ამოწმებენ თხევადგაზიან დანადგარებს.

ი. ჭობონელიძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

არემონტებენ ტექნიკას

წითელწყარო. („კომუნისტის“ კორ.). კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობების სარემონტო სახელოსნოებში მიმდინარეობს ტრაქტორების, სათესი მანქანების, გუთნების და სხვა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის რემონტი. რაიონში გასარემონტებელი 130 ტრაქტორიდან უკვე მზად არის 70 ტრაქტორი, 92 სათესი მანქანიდან — 62.

სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობა. აქ გადაწყვიტეს დაამთავრონ მანქანა-ტრაქტორების პარკის მომზადება საგაზაფხულო თესვისათვის არა უგვიანეს მის დაწყებამდე ორი კვირით ადრე. პირობის შესასრულებლად ყოველ ღონეს ხმარობენ. გასარემონტებელი 18 ტრაქტორიდან მინდვრის სამუშაოების შესასრულებლად მზად აქვთ 15 ტრაქტორი, დარჩენილ 3 ტრაქტორს ამ დღეებში შეაკეთებენ. გეგმით გათვალისწინებული 18 სათესი მანქანის შეკეთება უკვე დამთავრეს.

ზემო ქედის კოლმეურნეობაში წელს უნდა შეაკეთონ 27 ტრაქტორი. შრომის სწორი ორგანიზაციის შედეგად მზად არის 22 ტრაქტორი. სათესი მანქანების, გუთნების რემონტი ძირითადად დამთავრებულია. ამ მხრივ დაწინაურდნენ აგრეთვე გამარჯვების, ქვემო ქედისა და სხვა სოფლების კოლმეურნეობები.

სარკე მეოთხეხარისად მიჭვრიტანა ჰქვია. ასე განმარტავს მას საბაკ. მარტო ესეც გვაფიქრებინებს, რომ სარკის წარმოება თუ არა, მისი გამოყენება მაინც ჩვენში არც ისე ახალი ხილი ყოფილა. საბედნიეროდ, ამის საბუთიც მოგვეძებება.

შუა საუკუნეების წერილობითს ძეგლებში ვკითხულობთ: „დაყუდება სარკე არს ცოდვათა სახილავი“ (მამათა სწავლანი — 22,25). „ვხედავთ აწ ვითარცა სარკითა“) (კორნითელთა პირველი ეპისტოლე — 13,12); „ვითარცა კაცი ერთი, რომელი განჰკვრნაულ სარკესა“ (ოშკის ბიბლია, ზირაქი. — 12-11) და სხვა.

თუ დაეყრდნობით მეცნიერთა მტკიცებას, რომ აქ დამოწმებული და ამ სახის სხვა წერილობითი ძეგლები საქართველოში სულ უგვიანეს V საუკუნეშიც იქმნებოდა და ითარგმნებოდა, მაშინ ისიც შეიძლება კვეარაუდოთ, რომ სარკის წარმოება ჩვენი წინაპრები მსოფლიოს იმდროინდელ კულტურულად დაწინაურებულ ხალხებთან ერთად გასცნობიან და მისთვის სახელიც შეურჩევიათ. უფრო მეტიც. იმდროინდელი სარკე, როგორც უნდა გაგვიკვირდეს, გარდა ლითონისა, მინისგანაც უკეთებიათ. ერთ-ერთ ძეგლში სარკეს ჰქვია — „სალვეებელი ჰიქისა“ (იაკობისი კათოლიკე — 1,23).

იქნებ არ მიგვეჩნია საჭიროდ ესოდენი ექსკურსი წარსულში, მით უფრო იმიტომ, რომ წერილი ეხება არა სარკის წარმოშობის ისტორიას საქართველოში, არამედ მისი საარეწველო წარმოების დღეკანდელ დონეს (ისიც ერთი საწარმოს მაგალითზე). მაგრამ ხშირმა აუბედობამ ისე მიიყვანა მოსპობამდე არაერთი ხელობა ქართველთა, რომ საჭიროდ მივიჩნიეთ ორიოდე მაგალითით გავეხსენებინა ჩვენში სარკის წარმოების ძველთაგანვე არსებობის ფაქტი, თორემ, სარკე კი არა, თვით სარკის სახელიც შემოტანილად მიიჩნია ზოგიერთმა ჩვენთან მოსაუბარემ, ისიც ახლო ხანს შემოტანილად.

საუბარი კი ამ რამდენიმე ხნის წინ წარიმართა საყოფაცხოვრებო სარკეების სრულიად საკავშირო სამხატვრო საბჭოს მორიგ სხდომაზე, სადაც, წინასწარ უნდა ვთქვა, ბრწყინვალედ გამოიკვეთა ამ დარგის განვითარების კარგად დასრულებული ცდა თბილისის სარკეებისა და მექანიკურ ნაკეთობათა კომბინატში, რითაც პრაქტიკულად გაიღო ხიდი საუკუნეებრივ იძულებითს სიცარიელესა და ამჟამინდელ მდგომარეობას შორის.

კომბინატის მუშაკთა წარმატებას სამხატვრო საბჭოს წევრები და სხდომის მონაწილენი ფეხზე ადგომით შეხვდნენ. და რომ უფრო ხელშესახებად იყოს აღსაქმელი ეს ჭეშმარიტი ზეიმი, საჭიროდ მიგვაჩნია კიდევ ერთი მცირე ექსკურსი ამჯერად სულ ახლო წარსულში და თქმა იმისა, თუ რას წარმოადგენს ზემოხსენებული საბჭო.

სარკეების სრულიად საკავშირო სამხატვრო საბჭოს ამჟამინდელი, თბილისში ჩატარებული სხდომა რიგითი მეშვიდე იყო. ტრადიციულად სხდომა იმართება წელიწადში ერთხელ. ამ დარგის, ყველაზე უფრო მოწინავე საწარმოში. საბჭო იხილავს და შეფასებას აძლევს ჩვენი ქვეყნის სარკის ფაბრიკებისა და კომბინატების ნიმუშებს, წარმოდგენილი ახალი სახის ყოფაცხოვრებო სარკეებს, რომელიც „ფრიადი“ შეაფასებს. 1978 წელს 6 ნიმუშები წელს უნდა გამოჩეულიყო დახლზე, მაგრამ იგი უკვე „მარმაზე“ მიიღო მომხმარებელმა.

საწარმო სისტემატურად აღწევს წარმატებებს პროდუქციის გამოშვებისა და რეალიზაციის გეგმის შესრულებაშიც.

ამ მიღწევების მსმენელს, ბუნებრივია, შეექმნება შთაბეჭდილება, რომ თბილისის სარკეებისა და მექანიკურ ნაკეთობათა კომბინატი ძველთაძველი საწარმოა. ის ოფიციალურად 1975 წელს შეექმნა ორი ეუსტარული საწარმოს ბაზაზე და ამ ოჯახურ ხანში გადაიკვეთა დიდი საწარმოო კულტურის, ტექნიკისა და ეკონომიკის მაღალი დონის სამრეწველო ობიექტად, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვის კომბინატის ენერგიულ დირექტორს გ. თოიძეს, მთელ კოლექტივს, რასაც ისინი, უდავოდ, საქართველოს სსრ ხელოვნებისა და ხისდამუშავებელი მრეწველობის სამინისტროს უშუალო მხარდაჭერით აღწევენ.

წლევანდელი წარმატებების მიზეზებზე მეტაფიზიკურ საბჭოს სხდომაზე. გარდა ტექნოლოგიური პროცესებისა, თვით წარმოების მაღალი დონისა, ეს გახლავთ ეროვნული ტრადიციების ერთგულება, ქართული განუმეორებელი ჩუქურთმის, გრეხილურის მარჯვედ გამოყენების პრაქტიკა თანამედროვე ფორმის სარკის ჩარჩოში, რაც ხეზე ამოწვეთ არის მიღწეული. ტრადიციის ერთგულებამ განაპირობა აგრეთვე ერევნელ ოსტატთა წარმატება. თბილისელებმა კი ერთ უპირატესობას ვიდევ მიაღწიეს. მათ ერთი შეფერილობის, მაგრამ სხვადასხვა გამის ჩარჩოები შექმნეს იმისდა შესატყვისად, თუ სად უნდა დაიკიდოს სარკე, ნათელ თუ ბნელ ადგილას.

საბჭომ ამა თუ იმ ქალაქის საწარმოს სარკეების არაერთი ნიმუშიც დაიწუნა. ჩვენ ეჭვმიუტანლად ვამბობთ: ამ ნაწარმის დაწუნების უმთავრესი მიზეზია „გამოგონილი“ ფორმებით გატაცება, ეროვნულ ნიადაგს მოწყვეტა. ესეც კატეგორიულად აღინიშნა საბჭოს სხდომაზე. ასე რომ, უჩინარი ხიდი, გადებული ტრადიციასა და თანამედროვეობას შორის, ყოველთვის, თუ სასწაულს არა, საოცრებებს ახდენს დახვეწილ, გათანამედროვებულ ეროვნულ ფორმათა ძებნის რთულ გზაზე.

თბილისის სარკეებისა და მექანიკური ნაკეთობათა კომბინატის საქმიანობის შეფასებისას, რომელიც, როგორც ვნახეთ, აღმავლობის გზას ადგას, შეგვიძლია თამამად მოვიშველიოთ ჩვენი შორეული წინაპრის სიტყვები: „ვხედავთ აწ, ეითარცა სარკითა!“.

ბ. ჯინჭარაძე,
სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „საქსკაიავჯპროექტის“ სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის განყოფილების გამგის მოადგილე.

საწარმოო მარკეტინგი ღირებულებისათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვითარება სარკეთა

ბეჭო იხილავს და შეფასებას აძლევს ჩვენი ქვეყნის სარკის ფაბრიკებისა და კომბინატების ნიმუშებს, წარმოდგენილი ახალი სახის ყოფაცხოვრებო სარკეებს, რომელიც „ფრიადი“ შეაფასებს 1978 წელს 6 ნიმუშებს. ეს ნიმუშები ან ერევნელ ოსტატთა „ფრიადი“ შეფასებულ ნიმუშებს ჰგავდნენ,

1979 4 ივნისი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღეს!

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ

კანონი მოქმედებს

აი რას გვასწავლის და რას მოითხოვს არჩევნების ახალი კანონი

ყოველი დღე გვიახლოვებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებს. ამ ღირსშესანიშნავი პოლიტიკური მოვლენისათვის მზადება ყველგან დიდი შრომითი და პოლიტიკური აღმავლობის ვითარებაში მიმდინარეობს. როგორც ცნობილია, სსრ კავშირის კონსტიტუციის შესაბამისად მიღებულია და მოქმედებს ჩვენი ქვეყნის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ახალი კანონი. ამ კანონის ზოგიერთ თავისებურებაზე გვესაუბრება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საბჭოების განყოფილების გამგე მ. ბაღაშვილი.

— სსრ კავშირის მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს არჩევნები პირველად ეწყობა ახალი კანონის საფუძველზე, რომლის მოთხოვნათა განხორციელი დაცვა განმტკიცებულია სსრ კავშირის კონსტიტუციით.

ჩვენს ქვეყანაში საარჩევნო კამპანიის დამახასიათებელი თავისებურებაა განსაკუთრებული მასობრიობა, საყოველთაო-სახალხო კონტროლი მისი მომზადებისა და ჩატარებისადმი. ამის საილუსტრაციოდ საკმარისია ვთქვათ, რომ მარტო ჩვენს რესპუბლიკაში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიებში არჩეულია 1095, ხოლო 3176 საუბნო საარჩევნო კომისიაში — 25.655 კაცი.

საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების გადაწყვეტილებათა შესრულება, — აღნიშნულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების კანონში, — სავალდებულოა ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოს, საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციისათვის.

საოლქო საარჩევნო კომისიების ერთ-ერთი ძირითადი მოვალეობაა უზენაესძალაუფლებელ საუბნო საარჩევნო კომისიებს და მათი საქმიანობა წარმართონ არჩევნების კანონის სრული შესაბამისობით.

სპეციალურ იქნება უახლოეს დროში საოლქო საარჩევნო კომისიებმა მოაწყონ საინსტრუქტაჟო თათბირები რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეების, საუბნო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეების და მდივნების მონაწილეობით. ამ თათბირებზე გულდასმით უნდა გააკონონ მათი უფლება-მოვალეობანი, საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმები და მათი შევსების, ამომრჩეველთა სიების შედგენის, არჩევნების მიმდინარეობისა და არჩევნების შედეგების შესახებ ცნობებისა და ოქმების წარდგენის წესი.

საარჩევნო კანონით დადგენილია, რომ თავმჯდომარე ან თავმჯდომარის მოადგილე ანდა საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანი თავისუფლდება სამსახურებრივი მოვალეობისაგან არჩევნების მომზადებისა და ჩატარების პერიოდში 30 კალენდარული დღით მუდმივ სამუშაო ადგილზე საშუალო ხელფასის შენარჩუნებით.

დიდი პასუხსაგები საქმეა ამომრჩეველთა სიების შედგენა. ამ სიებს, ჩვეულებრივ, ადგენენ სახალხო დეპუტატთა საქალაქო, ქალაქის რაიონული, სადაბო და სასოფლო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები და ხელს აწერენ შესაბამისი საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე და მდივანი. ამომრჩეველთა სიების შედგენის სისწორეს ამოწმებენ საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიები. ამომრჩეველთა სიებში შეყვანილ უნდა იყოს სსრ კავშირის ყველა მოქალაქე, რომლებსაც შეუსრულდათ ან არებებს დღეს უსრულდებათ 18 წელი. თუ არ არის ზუსტი ცნობები დაბადების დღისა და თვის შესახებ, მოქალაქე დაბადებულად ითვლება შესაბამისი წლის 1 იანვარს. 1961 წელს დაბადებული მოქალაქეები, რომლებსაც არჩევნების დღისათვის ან არჩევნების დღეს შეუსრულდათ 18 წელი, ამომრჩეველთა სიაში შეაყავთ მათი დაბადების წლის, თვისა და დღის მითითებით. 18-ზე მეტი წლის პირები ამომრჩეველთა სიებში უნდა შეეყვანოთ მათი დაბადების წლის მითითებით.

ამომრჩეველთა სიები საყოველთაო გაცნობისათვის გამოქვეყნდა უნდა იყოს არჩევნებამდე 20 დღით ადრე, ე. ი. მიმდინარე წლის 11 თებერვლამდე.

ამჟამად მიმდინარეობს საოლქო საარჩევნო თათბირები, ხოლო 27 იანვარს დაიწყება დეპუტატობის კანდიდატთა რეგისტრაციაში გატარება, რაც 6 თებერვალს უნდა დამთავრდეს.

ყველა რეგისტრირებული დეპუტატობის კანდიდატს, საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისა და მდივნის ხელმოწერით, რომელიც დამოწმებული უნდა იქნეს საოლქო საარჩევნო კომისიის ბეჭდით, ეძლევა დეპუტატობის კანდიდატის მოწმობა. ამ დოკუმენტით იგი სარგებლობს ყველა იმ უფლებით, რომლებიც აქვს დეპუტატს. კერძოდ, მას უფლება აქვს საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე იმგზავროს უფასოდ, მისი სამუშაოდან განთავისუფლება, მოხსნა, პასუხისგებაში მიცემა არ შეიძლება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის უნებართვოდ. დეპუტატობის კანდიდატების ამომრჩევლებთან შეხვედრისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ამომრჩეველთა განაწესების აღრიცხვისა და განზოგადების საქმეს.

როგორც ცნობილია, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ დაამტკიცა კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს არჩევნების ბიულეტენის ფორმები. არჩევნების დღეს საქართველოს სს რესპუბლიკის ტერიტორიაზე თითოეულ ამომრჩეველს მიეცემა 2 ბიულეტენი: ერთი — თეთრი ფერისა — კავშირის საბჭოს არჩევნებისათვის, მეორე — ცისფერი — მოკავშირე რესპუბლიკისაგან ეროვნებათა საბჭოს არჩევნებისათვის. ავტონომიურ რესპუბლიკაში და ავტონომიურ ოლქში ამომრჩეველს ეძლევა კიდევ ერთი ბიულეტენი — ვარდისფერი — ავტონომიური რესპუბლიკისაგან, ავტონომიური ოლქისაგან ეროვნებათა საბჭოს დეპუტატის არჩევნებისათვის. არჩევნების დღეს 4 მარტს ამომრჩეველთა ხმის მიცემა იწარმოებს დილის 6 საათიდან საღამოს 10 საათამდე ადგილობრივი დროით.

საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებმა უნდა იცოდნენ, რომ ხმის დათვლის დროს, თუ საარჩევნო ბიულეტენზე რეგისტრირებული კანდიდატის გარდა მიწერილია ვვარი სხვა პირისა, რომელიც არ არის რეგისტრირებული საოლქო საარჩევნო კომისის მიერ, ბიულეტენი ვარგისად და კანდიდატისთვის ხმამიცემულად სასარგებლოდ უნდა ჩაითვალოს, იმ შემთხვევაში, როდესაც საარჩევნო ბიულეტენში გადაშლილია რეგისტრირებული კანდიდატის გვარი და მიწერილია სხვა პირის გვარი, რომელიც არ არის რეგისტრირებული. ბიულეტენი დეპუტატობის კანდიდატის წინააღმდეგ მიეცემოდეს ითვლება.

როგორც საოლქო, ისე საუბნო საარჩევნო კომისიების ხმის მიცემის ოქმს ხელს უნდა აწერდნენ კომისიის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე, მდივანი და წევრები. თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში. ოქმს თავმჯდომარის მაგივრად ხელს აწერს თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში — კომისიის ერთ-ერთი წევრი.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საუბნო საარჩევნო კომისიის ხმის მიცემის ოქმი კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს არჩევნების შესახებ ცალ-ცალკე დგება.

ოქმი შედგენისთანავე ეგზავნება კავშირის საბჭოს არჩევნების და ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიას.

ასეთია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ კანონის ზოგიერთი თავისებურებანი.

უდიდესი მნიშვნელობის ვიზიტი

სოფია, 21 იანვარი. (საკდესი). სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტი ჩვენს ქვეყანაში, მისი შეხვედრები ბულგარეთის კომპარტიისა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის ხელმძღვანელებთან ნათლად ადასტურებს ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის კრისტალურად წმიდა მეგობრობას, ჩვენი ხალხების ნათესაობასა და სულიერ ერთიანობას, წერს მოწინავე სტატიაში ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანო გაზეთი „რაბოტნიჩესკო დელო“.

ეს ვიზიტი, ხაზგასმულია სტატიაში, გადაიქცა ბულგარელი და საბჭოთა ხალხების ურღვევი მეგობრობის ნამდვილ მანიფესტაციად, ახლებურად გამოავლინა სიყვარულისა და მადლიერების ღრმა გრძნობები, რომლებსაც ჩვენი ხალხი განიცდის დიადი საბჭოეთისადმი, მისი ხელმძღვანელისადმი. ბულგარეთის შეხვედრებმა და მოლაპარაკებმა კიდევ ერთხელ დამაჯერებლად გვიჩვენეს ლ. ი. ბრეჟნევის ფასდაუდებელი დამსახურებანი და უდიდესი პირადი წვლილი ბულგარელი და საბჭოთა ხალხების ყოველმხრივი ურთიერთობის გაფართოებაში, საბჭოთა კავშირთან ბულგარეთის შემდგომ დაახლოებაში.

ამხანაგებს ლ. ი. ბრეჟნევისა და ტ. ჟივკოვის თითოეული შეხვედრა, აღნიშნავს „რაბოტნიჩესკო დელო“, ახალი არსებითი წვლილია ჩვენი ქვეყნების ურთიერთდაახლოების პროცესში. ბულგარეთისა და საბჭოთა კავშირის შუამავად მზარდი განვითარებისა და ურთიერთობის სრულყოფის მძლავრი სტიმულატორია, გვაყენებს ჩვენი პარტიებისა და ხალხების ყოველმხრივი ურთიერთობის უფრო მაღალ საფეხურზე. ეს შეხვედრები სასიკეთო როლს ასრულებენ ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის განვითარებაში, რომელიც დიდი ხანია გადაიქცა ჩვენი ქვეყნების მიღიონობით მშრომელის საქმედ.

ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტს ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკაში, შეხვედრებსა და მოლაპარაკებებს, რომლებიც ძმობისა და ინტერნაციონალიზმის გამოვლინებაა, დიდი საერთაშორისო მნიშვნელობა აქვთ. უწინარეს ყოვლისა იმიტომ, რომ იგი დაკავშირებულია პარტიისა და სახელმწიფო მოღვაწის სახელთან, რომელიც გადამწყვეტ წილად ხელს უწყობს იმას, რომ საერთაშორისო დაძაბულობის შენელება გადაიქცეს შეუქცევად პროცესად, შენარჩუნებულ იქნეს და განმტკიცდეს მშვიდობა ევროპასა და მთელ მსოფლიოში

ჩვენი პარტიების და სახელმწიფოების ხელმძღვანელთა შეხვედრას სამართლიანად შეიძლება ვუწოდოთ მნიშვნელოვანი წვლილი მშვიდობისა და სოციალიზმის საქმის განმტკიცებაში, ხაზს უსვამს ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანო.

ირანის ამბები

ნიუ-იორკი, 22 იანვარი. (საკდესი). შეერთებული შტატები ცდილობს რაც შეიძლება მალე გამონახოს ირანში კრიზისის გადაჭრის ისეთი გზა, რომელიც სავსებით შეესაბამება ვაშინგტონის განზრახვებს ამ ქვეყნის მიმართ. როგორც საინფორმაციო სააგენტოები იუწყებიან, თეირანსა და სახელმწიფო დეპარტამენტი ახლა ამუშავებენ ყველა ვარიანტს, როგორიც არის ახლანდელი, შაჰის მიერ დანიშნული, ბახტიარის მთავრობის მხარდაჭერა, ოპოზიციასთან ლაციცი, სამხედრო გადატრიალების მოწყობა. ირანს წარუდგინეს შემდეგი მოთხოვნები: მან უნდა „შეინარჩუნოს მეგობრული პოზიცია ამერიკის შეერთებული შტატების მიმართ, კვლავ დარჩეს დასავლეთისათვის ნავთობის მიმწოდებელი, ხოლო, რაც მთავარია — იყოს „სტაბილურობის წყარო“ (ამერიკული გაგებით) ახლო აღმოსავლეთის მთელ რაიონში.

„ამჟამად ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ძირითადი მიზანი ის არის, რომ მიიღოს ოპოზიციის ლიდერი ჰომეინის, ბახტიარის, ირანელი სამხედროებისა და სხვების თანხმობა იმაზე, რომ აღადგინონ სიმშვიდე და შეინარჩუნონ არაკომუნისტური ძალების კონტროლი ირანისადმი“, — განაცხადა სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა, რომელმაც ამავე დროს აღნიშნა, რომ „სამხედრო გადატრიალების შესაძლებლობა ჯერჯერობით გამორიცხული არ არის“. გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი“ წერს, რომ ყველაზე მოსალოდნელია ალაუფლების ხელში აღება სამხედროების მიერ, ეს კი დამოკიდებულია იმაზე, თუ რას დრე პრინცი და პრემიერ-მინისტრის პირველი მოადგილე ფაჰ

ჯანმრთელობის დიდი მსახური

აკადემიკოს ბ. პეტროვის დაბადების მე-80 წლისთავის გამო



80 წელი შესრულდა გამოჩენილი საბჭოთა ქირურგის, მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, სსრ კავშირის სამედიცინო აკადემიის ნამდვილი წევრის, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, სახელმწიფო პრემიის ლაურეატის პროფესორ ბორის ალექსანდრეს ძე პეტროვის დაბადებიდან.

იგი დაიბადა ქ. მოსკოვში. 1922 წელს მოსკოვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ სხვადასხვა დროს მუშაობდა გამოჩენილ მეცნიერებთან ი. სპიჟარნესთან, ნ. ბურდენკოსთან, კ. კრასინცევთან, ს. იუდინთან. ამ უკანასკნელმა მასზე დიდი გავლენა მოახდინა, როგორც ბრწყინვალე დასტაქარის და მეცნიერის ჩამოყალიბებაში.

1931 წლიდან იწყება ბ. პეტროვის პედაგოგიური მოღვაწეობა მოსკოვის ექიმთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტის ქირურგიის კათედრაზე ასისტენტად, ხოლო 1935 წლიდან კი ნ. სკლიფოსოვსკის ინსტიტუტის ქირურგიულ მკურნალობას. შემდეგ კვლევის მუდმივი ყურადღების ცენტრშია მუცლის ღრუ, გულმკერდის გადაუდებელი ქირურგია და ტრავმატოლოგიის აქტუალური საკითხები. ს. იუდინთან და მის მოწაფეებთან ერთად აქტიურად მონაწილეობს გადაუდებელი ქირურგიის წამყვანი სკოლის ჩამოყალიბებაში, რომელიც მალე მსოფლიო აღიარებას პოულობს.

ბ. პეტროვი მონაწილეობს თეორიულ-ექსპერიმენტალურ ბრძოლებში. 1941 წელს იგი უკვე შავი ზღვის სამხედრო საზღვაო ფლოტის მთავარი ქირურგია, კონსულტაციას უწევს საველაკუაციო ჰოსპიტლებს, რომლებიც განლაგებულნი იყო ყირიმში, კავკასიის სანაპიროებზე და საქართველოში. 1944 წელს ბ. პეტროვი დაინიშნა სსრ კავშირის სამხედრო საზღვაო ფლოტის მთავარი ქირურგის აკადემიკოს ი. ჯანელიძის მოადგილედ. სწორედ ამ პერიოდში დაუახლოვდა იგი ამ გამოჩენილ მეცნიერს და სიკვდილამდე მათ დიდი მეგობრობა აკავშირებდათ. მან ერთ-ერთი თავისი საუკეთესო მონოგრაფიული ნაშრომი „კანის თავისუფალი დაკავშირებით პლენუმი: ფიზიკური ტრავმების დროს“ მიუძღვნა ი. ჯანელიძის ნათელ ხსოვნას.

სამამულო ომის დამთავრების შემდეგ იგი უბრუნდება საყვარელ კერას, სკლიფოსოვსკის სახელობის ინსტიტუტს და იწყებს ენერგიულ სამეცნიერო მოღვაწეობას. სულ მალე ქმნის მკურნალობის ახალ მეთოდებსა და აპარატურას. ერთი სიტყვით, მედიცინაში არ არის დარგი, რომელიც ბ. პეტროვის ნათელი გონებით არ იყოს გასხივოსნებული. მის შრომებზე იზრდებოდა ექიმთა და მეცნიერ მედიკოსთა ახალახალი თაობები. იგი სხვადასხვა დროს იყო მოსკოვის I სამედიცინო ინსტიტუტის კათედრის პროფესორი, კათედრების გამგე. მისი ხელმძღვანელობით შესრულებულია 18 სადოქტორო და 45 საკანდიდატო დისერტაცია. მას უყვარდა ახალგაზრდობა და ყოველთვის ნახულობდა დროს მათთან მუშაობისათვის, სწორი გზის ჩვენებისათვის. სწორედ ამიტომ მასში ხედავდნენ არა მარტო პედაგოგს, არამედ უახლოეს მრჩეველს, უანგარო მეგობარსა და კეთილშობილ ადამიანს.

ბ. პეტროვის როგორც ქირურგიული, ასევე მეცნიერული დიაპაზონი ფრიად მრავალმხრივია, ამიტომ ყველა მათგანის განხილვა შეუძლებელია. იგი იკვლევდა 150-მდე აქტუალური სამეცნიერო ნაშრომისა და ათეული მონოგრაფიისა, რომლებიც სამედიცინო მეცნიერების საგანძურს წარმოადგენენ. 1969 წელს XXIII მსოფლიო საერთაშორისო კონგრესზე ბუენოს-აირესში აკადემიკოსი ბ. პეტროვი არჩეულ იქნა ქირურგთა საერთაშორისო ასოციაციის სპატიო წევრად. სხვადასხვა დროს იგი არჩეული იყო ჩვენი ქვეყნის მომძე რესპუბლიკების, მათ შორის საქართველოს, უცხოთის თურმეტი სახელმწიფოს ქირურგიული საზოგადოებების, აკადემიების საპატიო წევრად. ყველგან აღიარებდნენ მას როგორც უდიდეს ქირურგსა და მეცნიერს.

აღსანიშნავია, რომ 1970 წელს ქალაქ ჩიკაგოში სპეციალურ სხდომაზე იგი აღიარეს როგორც მსოფლიოში ერთ-ერთი გამოჩენილი ქირურგი და აირჩიეს ამერიკის შეერთებული შტატების ქირურგთა კოლეჯის საპატიო წევრად.

საბჭოთა მთავრობამ და ხალხმა დიდად დააფასა მისი დამსახურება, იგი დაჯილდოებული იყო ორი ლენინის ორდენით, წმიერი დროშის, I ხარისხის სამამულო ომის და სხვა ორდენებითა და მედლებით. ბ. პეტროვი იყო საქართველოს და თბილისის ქირურგთა საზოგადოებების საპატიო წევრი, ძალიან უყვარდა მას საქართველო, აქ ჰყავდა მრავალი მეგობარი, თანამოაზრე და მოწაფე. იგი ხშირად ჩამოდიოდა თბილისში, კონსულტაციას უწევდა ჩვენს მეცნიერებს. სწორედ ამიტომ მას კეთილი მოგონებითა და სიყვარულით იხსენებენ ჩვენში.

1973 წლის ივლისში შეწყდა მაჯისცემა ამ შესანიშნავი ადამიანისა. მისი მდიდარი შემკვიდრეობა ქირურგთა მრავალ თაობას გადაეცემა, მისი კაცური კაცობა ნათელ და მისაბაძ მაგალითად დარჩება მრავალი თაობისათვის.

სწორედ ამ დიდი საბჭოთა მეცნიერის, ნოვატორისა და გამოჩენილი დასტაქრის ჭეშმარიტი პატივისცემის გამოხატულება იყო ამ რამდენიმე ხნის წინათ ქალაქ მოსკოვში ჩატარებული სამეცნიერო სესია, რომელიც მისი დაბადების მე-80 წლისთავს მიეძღვნა. ამასთან ნ. სკლიფოსოვსკის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შენობას გაუკეთდა მემორიალური დაფა, რომელზეც წარწერილია: „აქ მუშაობდა გამოჩენილი საბჭოთა ქირურგი, აკადემიკოსი ბორის პეტროვი“. ამ რამდენიმე დღის წინათ კი თბილისში გაიმართა ქირურგიული სამეცნიერო საზოგადოების სპეციალური სხდომა, რომელიც ამ საზოგადოების საპატიო წევრის, აკადემიკოს ბ. პეტროვის ხსოვნას მიეძღვნა. სხდომას ხელმძღვანელობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრი, პროფესორი ე. ფიფია. მოხსენება აკადემიკოს ბ. პეტროვის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ გააკეთა მისმა ყოფილმა თანამშრომელმა, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორმა ო. ჩახუნაშვილმა, სიტყვები წარმოთქვეს პროფესორებმა გ. ხუნდაძემ, დ. მამამთავრიშვილმა, მ. ჩაჩავამ, დ. ბერეტიანმა, რ. ქუმსიაშვილმა და სხვებმა.

გ. ხუნდაძე,
თბილისის ექიმთა დახელოვნების სახელმწიფო ინსტიტუტის რექტორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი;
ო. ჩახუნაშვილი,
მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი.

„კომუნისტის“ ფოტოსტენდი

გმირის დაბრუნება

გიორგი სააკაძის მონუმენტი კასპში.

ნ. მესხის ფოტო.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმი

გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმი ა. ჯარანაძის თავმჯდომარეობით.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის გ. დევდარიანის მოხსენებასთან დაკავშირებით პლენუმმა განიხილა სასამართლოების მიერ ქორწინებისა და ოჯახის კანონმდებლობის გამოყენების პრაქტიკა.

პლენუმმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ, სასამართლოებმა, როცა განიხილავენ ბრალდებებს, ალიმენტების გადახდევინებისა და სხვა საქმეებს წყვეტენ, უნდა იხელმძღვანელონ კანონმდებლობით დასახული ამოცანებით, ყოველნაირად შეუწყონ ხელი საბჭოთა ოჯახის განმტკიცებას, დედისა და ბავშვის უფლების დაცვას, საბჭოთა მოქალაქეებისათვის ოჯახის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობის ჩანერგვას.

რესპუბლიკის სასამართლოებს მიეცათ საჭირო ახსნა-განმარტება კანონმდებლობის გამოყენების თაობაზე, რომელიც აწესრიგებს განქორწინებას სასამართლო წესით და მმაჩის ორგანოებში.

პლენუმის მიერ მიღებულ დადგენილებაში აგრეთვე განხილულია მეუღლეთა შორის ერთობლივად შეძენილი ქონების გაყოფის, ალიმენტების გადახდევინებისა და სხვა დავის გადაწყვეტის დროს წამოჭრილი იურიდიული საკითხები.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმში მუშაობა მონაწილეობდნენ რესპუბლიკის პროკურორი ა. ბარაბაძე და საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრი ა. შუშანაშვილი. (საქინფორმი).

გვთავაზობენ მოსწავლეები

ერთ წელიწადზე მეტია თბილისის № 80 საშუალო პროფტექნიკური სასწავლებლის ორ დიდ დარბაზში მოწყობილია საქართველოს პროფტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთა ტექნიკური ნამუშევრების რესპუბლიკური გამოფენა.

დამთვალიერებელი აქ. ნახავს უნივერსალური საღარაჯ-საბურღი ჩარხის, მაგიდის საბურღი ჩარხის, ორთქლმავლის, წნეხის, თევზსაჭერი ტრალერის და სხვა მოქმედ მოდელებს, ფერწერულ ტილოებს, მოზაიკას, ხალიჩას, გობელენს, ლითონმქანდაკებლობის, ხის ჩუქურთმის, კერამიკის, ქანდაკების, ბამბის, აბრეშუმისა და ხელოვნური აბრეშუმის ქსოვილების ნიმუშებს, შენობათა მაკეტებს, წყალქვეშაფრთიან თბომავალ „კომეტას“ მოდელს, ბავშვებისა და მოზარდების ტანსაცმელს.

გამოფენაზე 49 სასწავლებლის 294 ექსპონატია წარმოდგენილი. მას სისტემატურად ემატება საინტერესო მასალები.

გამოფენა უკვე დაათვალიერა ხუთი ათასმა კაცმა. მისასალმებელია, რომ დამთვალიერებელთა დიდი ნაწილი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეები არიან. პროფესიული ორიენტაციის თვალსაზრისით გამოფენა რომ მათზე დიდ გავლენას ახდენს, ეს შთაბეჭდილებათა წიგნიდანაც ჩანს.

გ. დურგლიშვილი.



სურათებზე: ზემოთ — თბილისის მ. თოიძის სახელობის № 11 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის მოსწავლეთა ნამუშევრები; ქვემოთ — გამოფენის ერთ-ერთი კუთხე.

ს. კილაძის ფოტო.

ორი ლიდერი

ჰოლანდიის ფალაქ ვეიკენდამში ადგილი ახლა ევროპის ... ტურნირი მიმდინარეობს, უკვე სამი ტური გათამამდა. ლიდერობენ საბჭოთა მოჭადრაკეები ლევ პოლუგაევსკი (2,5 ქულა) და ნონა გაფრინდაშვილი (2 ქულა). მეორე ტურში პოლუგაევსკიმ მოუგო გაფრინდაშვილს, ხოლო მესამეში — ი. მიკოლაცს (იუგოსლავია), მე-3 ტურში გაფრინდაშვილმაც გაიმარჯვა.

ხუთი საგზურისათვის

ვარშავაში დამთავრდა ვაჟთა მსოფლიო პირველობის ევროპის ქვეყნების მოჭადრაკეთა ზონალური ტურნირის პირველი ეტაპი (ასპარეზობანი ორ შერჩევით ჯგუფში). პირველი და მეორე ჯგუფიდან ზონალური ტურნირის დასკვნით შეჯიბრებაში მონაწილეობის უფლება მიიღეს ზოლტთან რიბლიმ, დიულა საქმა, ანდრაშ ადორიანმა (სამივე — უნგრეთი), იან სმეიკალმა, ედუარდ პრანდშტეტერმა (ორივე — ჩეხოსლოვაკია), ფლორინ გეორგიუმ, მიხაი გინდამ (ორივე — რუმინეთი) და ალექსანდრე შნაპაკმა (პოლონეთი). ახლა მოჭადრაკეები ზონალური ტურნირის ფინალურ ნაწილს გაიმართამშებენ. აქ, პირველ ხუთ ადგილზე გასულნი საზონათშორისო ტურნირში თამაშის უფლებას მოიპოვებენ.

პირველი მიჯნა გადალახეს

კვირას ჰოლანდიაში ამ ქვეყნის ნაკრებთან სსრ კავშირის ჩოგბურთელებმა გამართეს სამეფო თასზე ევროპის გუნდური პირველობის ბოლო მატჩი მეორე ლიგის ქვეჯგუფში. საბჭოთა ნაკრებმა გაიმარჯვა ანგარიშით 2:1. მოსკოველმა ვ. ბორისოვმა მოიგო შეხვედრა ტეო გორტერთან (6:4, 6:3), თბილისელი ა. მეტრეველი კი დამარცხდა ლუკ ვანდერსთან (4:6, 4:6). გადამწყვეტი შეხვედრა მეტრეველმა და ბორისოვმა მოუგეს სანდერსსა და ვოიტერ ფოკს (6:2, 3:6, 6:1).

თებერვლის დასაწყისში საბჭოთა ჩოგბურთელები დაბრუნენ ორ ქვეჯგუფში გამარჯვებულ რუმინელებთან და დანიელებთან ერთად გაიმამაშებენ უმაღლესი ლიგის ერთადერთ საგზურს.

ამჯერადაც გამარჯვება

ვილნიუსში გუშინ დამთავრდა კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის მეორე წრის პირველი ეტაპის მატჩები, ხოლო ლენინგრადში ჯერ კიდევ გრძელდება ასპარეზობა.

ვილნიუსში მეოთხე დღის შეხვედრები ასე დამთავრდა: ცსკა-მოსკოვის „დინამო“ — 111:95, ვილნიუსის „სტატბა“-კიევის ასკ — 112:85, მინსკის რტი-კაუნასის „ეალგირისი“ — 82:74.

ლენინგრადში მესამე დღის ორი მატჩი ასე დამთავრდა: კიევის „სტროიტელი“-ტალინის „კალევი“ — 75:73, ლენინგრადის „სპარტაკი“-რიგის ვეფი — 94:86. გუშინ გაიმართა მეოთხე დღის შეხვედრები. თბილისის „დინამომ“ ისევე, როგორც წინა მატჩში, ამჯერადაც გაიმარჯვა: დინამოელი ბ ა რიგის ვეფი დაამარცხეს ანგარიშით 74:67 (39:45). დერიუგინმა გუნდს 27 ქულა შესძინა, ბიჭიაშვილმა — 20. ტალინის „კალევმა“ დაამარცხა ვლადივოსტოკის „სპარტაკი“ — 112:72.

მოკლედ

მძლეოსნობა. თბილისის მძლეოსნურ მანეჟში დამთავრდა ზონალური შეჯიბრება სსრ კავშირის თასზე — გაზეთ „იზვესტიის“ თასზე. გუნდურ ასპარეზობაში საპრიზო ადგილები შესაბამისად თბილისს, ქუთაისისა და ბათუმის კოლექტივებმა გაინაწილეს.

რედაქტორი
გ. ბედინეიშვილი.

არამი ლუკმა უგემურია

შეხვედრა 13 უსაქმურთან, რომელთაგან ინტერვიუ შედგა სამთან, ხოლო ათმა არ ისურვა საუბარი გაზეთის კორესპონდენტთან

ისინი აუჩქარებლად შემოდიან ოთახში. სხდებიან. თავი არხეინად უჭირავთ. ზოგიერთმა სიგარეტიც კი გააბოლა. თავს მშვიდად გრძნობენ. აშკარად ეტყობათ, რომ ეს გარემო, სიტუაცია მათთვის უცხო არ უნდა იყოს. ასეც არის: ისინი აქ ბევრჯერ ყოფილან, მათთან ტაბლაზეც და მკაცრადაც უსაუბრიათ, სახანადო მიმართვებით შეიარაღებული საწარმოებსა და დაწესებულებებში სამუშაოდ გაუგზავნიათ. მაგრამ მათს ცხოვრებაში არაფერი შეცვლილა.

ისინი დღემდე გამოუსწორებელ უსაქმურებად, მუქთახორებად ითვლებიან. როდენ მძიმე და შეურაცხმყოფელია ადამიანისათვის ამ სახელის ტარება. ამათთვის კი, რომლებიც ჩვენი თხოვნით ერთხელ კიდევ შეკრიბეს თბილისის ლენინის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების მუშაკებმა, უსაქმურობა და მუქთახორობა ცხოვრების მიზანი, შინაგანი მოთხოვნა გამხდარა, და „ართუ იმ შეურაცხმყოფელი მძიმე ტვირთის ტარება უჭირთ, არამედ უკმაყოფილებასა და გაკვირვებასაც კი გამოთქვამენ, რომ კიდევ ერთხელ შეაწუხეს და მყუდრობა დაურღვიეს.

ერთი შეხედვისთანავე ნათელი იყო, რომ ამ ადამიანებთან გულახდილი, გულწრფელი საუბარი არ გამოვადდა. ამიტომ ვთხოვეთ მხოლოდ მსურველები დარჩენილიყვნენ, დანარჩენებს კი ოთახი დაეტოვებინათ. დარჩა სამი ახალგაზრდა, რომლებსაც ინტერვიუ ჩამოვართვით, გთავაზობთ ერთ-ერთთან საუბრის ჩანაწერს.

თამაზ ფილიშვილი — 20 წლის, ცოლშვილიანი: „სკოლას მეექვსე კლასიდან დავანებე თავი. ვერ ვსწავლობდი და იმიტომ“. „მერე სკოლა და ოჯახი როგორ შეეხვნენ შენს ამ გადაწყვეტილებას?“ „ჩვეულებრივ. რამდენჯერმე მოვიდნენ სკოლიდან. ჩვენი დირექტორიც კი იყო, მაგრამ დაბრუნება აღარ ვისურვე. დედაჩემი ერთ ხანს განიცდიდა ამ ამბავს, მაგრამ დავარწმუნე — ვიმუშავებ-მეთქი, და დამშვიდდა“. „მამა?“ „მისთვის სულ ერთია. სვამს. თავისი ცხოვრებით ცხოვრობს...“ „რატომ აღარ შეასრულე დაპირება და მუშაობა არ დაიწყე?“ „არ ვიცი... მერე კი მანქანის გატაცებისათვის ციხეში რომ მოვხვდი -და იქიდან დავბრუნდი, შემრცხა, ვერავის მივაკითხე, ვიდრე ჩვენმა უბნის ინსპექტორმა არ მომნახა და სამუშაოდ არ გამგზავნა გლდანში მშენებლობაზე“. „მერე რატომ დანებე თავი სამუშაოს?“ „ძნელი იყო, მიჭირდა...“ „გრძნობ თუ არა თავს შეურაცხყოფილად, რომ ახალგაზრდა კაცი არ მუშაობ, არაფერს აკეთებ, ხელმოკლე ოჯახს კისერზე აზიხარ?“ „რატომ უნდა ვგრძნობდე თავს შეურაცხყოფილად, მე ხომ ადარაფერს ვაშავებ?“, „რისი თქმა გსურდა, ჩვენთან სასაუბროდ რომ დარჩი?“ „თხოვნა მქონდა: იქნება რაიმე ხეირიან სამუშაოზე გამგზავნოთ...“ „მაინც სად გინდა იმუშაო?“ — ახალგაზრდა ერთხანს შეყოყმანდა, ჩაფიქრდა და გვითხრა: „რომელიმე პროფილაქტიკაში კარგი იქნებოდა...“

დიალოგი დანარჩენ ორ უსაქმურთანაც, დაახლოებით ასეთივე მოსაწყენი და ალმაშფოთებელი იყო. მათი „ფილოსოფიაც“, „ბიოგრაფიაც“ წვეთი წყალივით ჰგავს ზემოთ მოყვანილს, მაგრამ გვინდა იმ ორი მათგანის სასაუბროდ დარჩენის საიდუმლო მაინც გაგანდოთ: მათაც თხოვნით მოგვმართეს — რაიმე კარგი სამუშაოს შოვნაში დავხმარებოდით! 18 წლის ვ. ბეგიაშვილს საკონდიტრო კომბინატში მუშაობა სურდა, ხოლო 31 წლის ე. მკრტიჩიანს უსინათლოთა რომელიმე სასწავლო წარმოებაში...

სამივე მათგანის თხოვნა თუმც თავხედური, მაგრამ აშკარად გულწრფელი აღმოჩნდა. მარტო ამისათვის ღირდა მათთან შეხვედრა, რომელმაც ზოგიერთი საჭირბოროტო საკითხი წამოჭრა და მათზე ფიქრმა ნებით თუ უნებლიეთ, მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ მთელი ჩვენი საზოგადოება, შინაგან საქმეთა, აღმინისტრაციული, საბჭოთა ორგანოები, როგორც ჩანს, მეტად ლოიალურ ხაზს ატარებენ იმათ წინააღმდეგ ბრძოლაში, ვინც ბოროტად იყენებს ჩვენი ხელისუფლების ჰუმანურ პრინციპებს, უხეშად თელავს საბჭოური თანაცხოვრების ყველა წესს, პარაზიტულ ცხოვრებას ეწევა, ქვეყანას არას რგებს, ჩვენი წილი ყველა სიკეთით კი თავისუფლად სარგებლობს. ამასთან იოლი ცხოვრების მეტად თავხედურ პრეტენზიასაც კი აცხადებს, სარფიან საქმეს ეძებს და საქმიანობის სფეროსაც თამამად გვისახელებს, სადაც შეიძლება ხელი მოითბოს...

ზოგიერთი ციფრი და მონაცემი, რომლებიც ჩოგვაწოდა ქ. თბილისის ლენინის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების სისხლის სამართლის სამძებრო ქვეგანყოფილების უფროსის მოადგილემ პროფილაქტიკის ხაზით, უფროსმა ლეიტენანტმა ფელიქს არეშევმა, იმას მიგვანიშნებს, რომ შინაგან საქმეთა ორგანოები თითქმის მარტო დარჩნენ უსაქმურობასთან ბრძოლის ველზე, აშკარად უჭირთ მუშაობა და გარკვეული ფორმალურობის ელემენტმაც ამიტომ იმძლავრა მათს საქმიანობაში. თუმცა, უმჯობესია თვით მის კომენტარს მოვუსმინოთ:

— უსაქმურობისა და მუქთახორობის წინააღმდეგ ბრძოლას ჩვენს რაიონში გარკვეულწილად ახლავს მთელი რიგი სიძნელე. კერძოდ ის, რომ რაიონი დღითიდღე იზრდება ახალი მშენებლობების ხარჯზე და მოსახლეობის მიგრაცია ძალიან დიდია. ამ მხრივ ჩვენ უფრო რთულ მდგომარეობაში ვართ, ვიდრე, ვთქვათ, თბილისის რომელიმე ძველი რაიონის შინაგან საქმეთა ორგანოების მოშაკები.

შარშან გამოვლენებულ უსაქმურთა თითქმის მთელი რაოდენობა ძირითადად ჩვენი მუშაკების მიერ არის აღრიცხული, მათს უმრავლესობას სამუშაოდ მოწყობაში დავეხმარეთ და, როგორც ადგილებიდან მოსული ცნობებით ვიცით, ისინი დღესაც განაგრძობენ მუშაობას. მაგრამ გაჭირდა პროფილაქტიკური მუშაობა გამოუსწორებელ უქნარებთან, იმ კატეგორიის ადამიანებთან, რომლებიც ოთხ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში არ მუშაობენ, ასეთი შარშან ათობით კაცი გამოვავლინეთ და იძულებული გავხდით რამდენჯერმე მათგანი პასუხისგებაში მიგვეცა.

მაგრამ ერთი რამ მაინც უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელ ხანს რაიონში გაუმჯობესდა სამუშაოდ გაგზავნილი ზედამხედველობის ქვეშ მყოფი პირების ადგილებზე დამაგრების საქმე. განსაკუთრებით სანაზისო საწარმოებში — ჩარხსამშენებლო და ელმავალსამშენებლო გაერთიანებებში, სადაც შარშან გაგზავნილთა თითქმის 90 პროცენტი კოლექტივის აქტიური წევრი გახდა. მაგრამ ამას ვერ ვიტყვით რაიონში მომუშავე სამშენებლო ორგანიზაციებზე, სადაც ცოტა ხალხს როდი ვგზავნით, პასუხს კი მათი მუშაობის დაწყების, ან სამუშაოდან წასვლის შესახებ ვერ ვიღებთ. ამის კონტროლი კი ძალიან ჭირს...

ამ კომენტარით ნათლად ჩანს, რომ უსაქმურობასთან ბრძოლის საქმეში ჯერ კიდევ ბევრი პრობლემებია. გარკვეული სიძნელეები ახლავს არა მარტო უსაქმურთა გამოვლენის. მნიშვნელოვან საქმეს, არამედ მათთან ადგილებზე მოწყობილ პროფილაქტიკურ ახსნა-განმარტებითს მუშაობას. მეტად ინერტულად მუშაობენ საბინაო საექსპლოატაციო კანტორები, და განსაკუთრებით სამშენებლო ორგანიზაციების მართლწესრიგის საყრდენი პუნქტები და პროფილაქტიკის საბჭოები. როგორც ჩანს, გამოუსწორებელ უსაქმურებთან ბრძოლის კიდევ უფრო მეტი გაქტიურება მართებს რაისაბჭოს აღმასკომის შესაბამის კომისიასაც.

ჩვენი აზრით, მან უფრო ხშირად უნდა მიმართოს უსაქმურობასთან ბრძოლის ამ ეტაპზე შემოღებულ ერთ სიახლეს. საქმე ეხება რაისაბჭოს აღმასკომის, კომკავშირის რაიონული კომიტეტის, შინაგან საქმეთა განყოფილების, საწარმოების, დაწესებულებების და სამშენებლო ორგანიზაციების ხელმძღვანელთა ერთობლივ შეხვედრებს გამოუსწორებელ უსაქმურებთან, ამ შეხვედრებმა მტკიცედ მოიკიდა ფეხი პრაქტიკაში და პირველი კარგი შედეგიც მოიტანა, რადგან შეხვედრის დამთავრებისთანავე უსაქმურები წარმოება - დაწესებულებების ხელმძღვანელთა უშუალო ზედამხედველობის ქვეშ იგზავნებიან სამუშაოდ.

კარგია, რომ ვეძებთ ახალ ფორმებს, მეთოდებს მუქთახორობის მთლიანად აღკვეთისათვის. მაგრამ ამ ბრძოლაში ჯერჯერობით მაინც გვაკლია ის სიმტკიცე, რომელსაც ჩვენი დღევანდელობა მოითხოვს, და ამ საქმისადმი ლოიალური (ნუ შეგვეშინდება ამ სიტყვის ხმარება) მიდგომაც, შეშეიძლება ითქვას, მაინცდამაინც ვერ ესადაგება ჩვენი სოციალისტური საზოგადოების განვითარების ცნობილ პრინციპებს. გავიხსენოთ დიდი ლენინის დებულება იმის შესახებ, რომ სოციალიზმის განვითარებასთან ერთად არათუ სუსტდება, არამედ კიდევ უფრო ძლიერდება სახელმწიფოსა და საზოგადოების მიერ შრომისა და მოხმარების ზომის კონტროლი. ლენინის რაიონში (და როგორც ჩანს, არა მარტო აქ) არსებული პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ უსაქმურთა წინააღმდეგ ბრძოლა რაც შეიძლება უნდა გამკაცრდეს, განუხრელად უნდა განხორციელდეს პრინციპი — „ვინც არ მუშაობს, არც ჭამს“, უსაქმურმა, მუქთახორამ, რომ იტყვიან მყუდრო ადგილი ვერ უნდა იპოვოს ჩვენს საზოგადოებაში, არამი ლუკმა არავის არ უნდა შეერგოს!

ლენინის რაიონი დიდი მუშური ტრადიციების რაიონია. მისი მშრომელები არაერთი მნიშვნელოვანი პატრიოტული წამოწყების მოთავეები ყოფილან. აქაურმა კოლექტივებმა ერთ-ერთმა პირველმა დაუჭირეს მხარი ჩვენს რესპუბლიკაში საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა უბანზე ნეგატიური მოვლენების აღმოფხვრისა და მტკიცე სახელმწიფოებრივი დისციპლინის დამყარებისათვის დაწყებულ უკომპრომისო ლაშქრობას. და ცხადია, ჩვენი მედროშე რაიონის მშრომელებს, მას საზოგადოებას დედაქალაქი ამ საქმეშიც მეტ მოთხოვნებს უყენებს, მისგან მეტს მოელის.

თორემ რა გამოდის?! 1979 წელი მუქთახორობასა და უსაქმურობასთან ბრძოლის წლად არის გამოცხადებული, ქალაქში კი ბევრი პარაზიტია. საგულისხმოა, რომ თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს მონაცემებით გამოვლენილ უსაქმურთა უმრავლესობა კომკავშირული ასაკისაა! და ბევრი მათგანის ბედი ძალიან ჰგავს იმ ახალგაზრდისას, რომელთან საუბარიც ზემოთ წაიკითხეთ.

იმედია, მარტო ჩვენი მკითხველი არ მიაქცევს ამ ფაქტებს ყურადღებას, ყველა ვისაც ეს საქმე ეხება, იტყვის თავის გულისნადებს, რომ ერთად გავიხაროთ, ერთად ვიფიქროთ, თუ რა გზით, რა ფორმით, რა მეთოდებით უნდა გაგრძელდეს, გაორმაგდეს, გამკაცრდეს და გააქტიურდეს მთელი ის მუშაობა, რომელიც უსაქმურობასთან და მუქთახორობასთან ბრძოლის ამ გადამწყვეტ ეტაპზე უნდა გავწიოთ.

რ. ჯელიძე.

- **მართლწესრიგის უმოქმედო საყრდენი პუნქტები**
- **არავითარი ლოიალობა ლოიალობას**
- **ყველამ უნდა თქვას თავისი სიტყვა**

ტელევიზია —

23 იანვარი

პირველი პროგრამით

09.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 09.40 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ჩვენი სახლის გაუღები“, 10.10 — რუსული სკოლების მერვეკლასელთათვის — ფიზიკა (ფერადი), 17.00 — ადიტერინტათვის — ქართული ენა (ფერადი), 17.30 — განცხადებები (ფერადი), 17.35 — შეეისწავლოთ ინგლისური ენა, 18.05 — ბავშვებისათვის — მხატვრული ფილმი „ანს რეკლე და ეშმაკი“ (ფერადი), 19.20 — დრო და პრობლემები, 20.00 — კონცერტი, 20.25 — „პორტუგალიის რევოლუციის მონაპოვართა დასაცავად“. — პორტუგალიის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივნის ალვარო კუნიალის ინტერვიუ (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.40 — სატელევიზიო მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „სათადარიგო ბორბალი“ (ფერადი). 21.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (ფერადი), 21.30 — „საესტრადო პანორამა“ (ფერადი), 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 22.35 — საბჭოთა კავშირში კუბის რესპუბლიკის კულტურის დღეების გახსნა. გადმოცემა კრემლის ყრილობათა სასახლიდან.

მეორე პროგრამით

18.00 — მასწავლებლის საათი — ალგებრა (ფერადი), 18.45 — განცხადებები (ფერადი), 18.50 მულტიპლიკაციური ფილმი, 19.10 ქართული თეატრის წარსულიდან, 19.50 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ალბატროსის“ უკანასკნელი რეისი“. (I სერია), 21.00 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „შეხვდნენ ზღვა და მთები“ (ფერადი).

რადიო —

24 იანვარი

პირველი პროგრამით

09.25—რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.45 — ს. ტანეევი — სიმღერები და რომანსები, 10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (მოსკოვიდან), 11.10 — მ. ბალანჩივაძე — ოპერა „თამარ ცბიერი“ — ნაწყვეტები, 11.45 — „პარტიული ცხოვრება“ — საუბარი „წარმატებათა განმტკიცების გზით“, 12.15— ანსამბლ „რეფოს“ კონცერტი, 12.25 — „პოეზია უპირველეს ყოვლისა“ გ. ლეონიძის ლექსები, 12.30 პოპულარული სიმღერა, 13.40 — გ. ოტსის კონცერტი, 13.55 — ამინდის ბიუროს ცნობა, 14.00 — „ლიტერატურული კითხვა“ — შ. რუსთაველი — „ვეფხისტყაოსანი“, 14.20 — ბ. ბრიტენი — კამერული ნაწარმოებები, 17.15 — თ. ზაალიშვილის კონცერტი, 17.40 — ყველაზე პატარებისათვის. რადიოსადგური „ციცინათელა“, 19.00 — „კავშირი გულთა შორის“ — უკრაინელი პოეტების ლექსები, 19.15 — ფ. ლისტი — მეთორმეტე უნგრული რაფსოდია 20.30 — რადიოჟურნალი „თბილისი-ბაქო-ერევანი“ (ბაქოდან), 21.00 — ძიღისპირული, 21.15 — ახალგაზრდობისათვის — „მისამართი გვიკარნახა თქვენმა წერილმა“, 21.30 — სცენები ქართული სპექტაკლებიდან, 22.00 — მიკროფონთანაა ანსამბლი „რუსთავი“, 23.30 — უკრავს ვ. გოროვიცი.

თეატრი —

23 იანვარი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — ქეთო და კოტე (I აბონემენტის მე-8 წარმოდგენა); ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის —პალმანი ცაში; მეტეხის თეატრი — ქართული ნოველების საღამო.

კომუნისტი

ჩვენი მისამართი და ტელეფონები:

380096 თბილისი-96, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეების — 99-93-03, 99-03-09, პ/მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული 99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-